ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 108

“ 19 ” დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ. 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ (ს/ნ. 405680348) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე და ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ. 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 27 ნოემბრის №25.2000.2240 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსს“ (ს/ნ. 405680348) შორის 2024 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-801-1-30561 ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობების „გ“ პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის, ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაკისრებული, ჯამურად - 44 405,58 (ორმოცდაოთხი ათას ოთხას ხუთი ლარი და ორმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით პირგასამტეხლოსგან შპს „თაბორი ჰილ რეზიდენსის“ (ს/ნ. 405680348) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე